სამართლებრივი კულტურა

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა
საქართველოს სამართლებრივი კულტურის პროექტის ფარგლებში,
რომელიც ხორციელდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და
სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის
საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით

ავტორები:
ნინო ერემაშვილი
მაკა ფერაძე
ელგუჯა მაკალათია
გიორგი გახელაძე

რედაქტორი: ქეთევან გოჩიტაშვილი

პროექტი ხორციელდება PH International-ის მიერ.

საავტორო უფლებები © 2009 PH International.

თბილისი

სამართლებრივი კულტურა

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

თემა 1 - ვინ არის სამართალდამცველი 7

თემა 2 - არასრულწლოვანი და კანონი 14

თემა 3 - სასამართლო 22

თემა 4 - როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები 38

თემა 5 - გულგრილობა და თანამშრომლობა 41

თემა 6 - მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა 42

თემა 7 - ორგანიზებული დანაშაული 55

წინასიტყვაობა

მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ, შენ ისეთი ხარ, როგორიც ხარ, ის ისეთია, როგორიც არის, მაგრამ ერთად ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო! თუ კარგად დაფიქრდები, თავად მიხვდები, რომ ჩვენ ყველანი ერთ სამართლებრივ სისტემაში ვცხოვრობთ და კანონებიც საერთო გვაქვს.

სამართლებრივი კულტურის პროგრამაც სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ შენ უკეთ ისწავლო კანონები, გააცნობიერო, რისთვის შეიქმნა ისინი, როგორ გვიცავს ან როგორ გვსჯის.

თუ ახლა ეს წიგნი ხელში გიჭირავს და კითხულობ, ეს ნიშნავს, რომ შენ სამართლებრივი კულტურის პროგრამის მონაწილე გახდი და შენს სასკოლო ცხოვრებაში სიახლეა. თითქმის ორი თვის განმავლობაში სამართლებრივი კულტურის პროგრამას მასწავლებელთან ერთად სამართალდამცველი წარუძღვება. რატომ? პასუხი მარტივია. სამართალდამცველი – პოლიციელი – სწორედ ის არის, ვისაც კანონის თანახმად ევალება უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

იმედია, სულ მალე გამონახავთ საერთო ენას, ერთად გაიკვლევთ გზას კანონიერების კულტურის რთულ გზაზე.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული უამრავი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი თუ უბრალო ადამიანი წერდა კანონების მნიშვნელობასა და მათი დაცვის აუცილებლობაზე.

“ბრძენი კანონმდებელი კანონების გამოცემით კი არ იწყებს, არამედ სწავლობს საზოგადოებისათვის მის საჭიროებას.” ტიტუს ლივიუსი

“ზოგიერთი დაუწერელი კანონი დაწერილზე უფრო მტკიცეა.” ტაციტ პუბლიუს კორნელიუსი

“როცა მე ქვეყანაში ჩავდივარ, ვინტერესდები არა იმით, არის თუ არა იქ კარგი კანონები, არამედ იმით, სრულდება თუ არა ისინი, რომლებიც არის, ვინაიდან კარგი კანონები ყველგან არსებობს.” მონტესკიე

“ისე ცუდად არაფერი არ ვიცით, როგორც ის, რომ თითოეულმა უნდა იცოდეს კანონი.” ონორე დე ბალზაკი

“კანონების არსი კაცთმოყვარეობაა.” უილიამ შექსპირი

“არ არსებობს კანონი, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა.” ტიტუს ლივიუსი

ვინ არის სამართალდამცველი

სამართალდამცველი გულისხმობს კანონის დაცვის სფეროს ყველა თანამშრომელს, დანიშნულსა თუ არჩეულს, ვინც პოლიციის, განსაკუთრებით კი, დაპატიმრების ან დაკავების უფლებამოსილებას ახორციელებს.

თუ როდის გაჩნდა პირველი პოლიციელი, ზუსტად არავინ იცის, თუმცა პირველი წერილობითი წყარო, რომელიც პოლიციის არსებობაზე მიუთითებს, ძველ ეგვიპტეში გვხვდება.

პოლიციის ცნება, როგორც სამართალდამცავი ორგანიზაციისა, წარმოიშვა ძველ რომში, სადაც სამხედრო ძალები გამოიყენებოდა როგორც მშვიდობის მცველი. რომაელებმა მაღალი დონის სამართალდამცველი სისტემა შექმნეს, რომელიც რომის იმპერიის დაცემამდე შემორჩა.

თანამედროვე გაგებით პოლიციური ძალების ჩანასახი ევროპაში XII – XIII საუკუნეებში გაჩნდა. ინგლისში პირველი პოლიციური შენაერთი მეფე ალფრედ დიდის დროს გამოჩნდა. ეს ჯგუფი 10 პოლიციელისგან შედგებოდა. ასწლეულის განმავლობაში პოლიციელები მუშაობდნენ ანაზღაურების გარეშე და ამიტომ მალე ეს პროფესია ძალზე არაპოპულარული გახდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი რთული და საპასუხისმგებლო იყო.

1829 წელს, პარლამენტში ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, ბრიტანელმა მემამულემ, სერ რობერტ ფილმა, ჩამოაყალიბა ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიცია. იგი გახდა მსოფლიოს პირველი

ლექსიკონი

- **პოლისი** - ძველ ბერძნულად ნიშნავდა ქალაქს;
- **პოლიტეა** – ძველ ბერძნულად ნიშნავდა ქალაქის მმართველობას;
- **პოლიტია** – (პოლიტეა ლათინურად) სწორედ ლათინური ენიდან წარმოიშვა სიტყვა პოლიცია, რომელიც საწყის ეტაპზე ხელისუფალს ნიშნავდა;
- **პოლიცია** - საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანო. თანამედროვე ქვეყნების სახელმწიფო მექანიზმში პოლიციის სტრუქტურა და გავლენა დამოკიდებულია მმართველობის ფორმებზე, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მოწყობასა და პოლიტიკურ რეჟიმზე. პოლიცია პასუხისმგებელია მოსახლეობის, სახელმწიფოს, კერძო საკუთრების დაცვაზე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე, საგზაო მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირებაზე. პოლიციელებს, როგორც წესი, აცვიათ ფორმა და ატარებენ იარაღს.

პოლიცია, რომელიც შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს. პოლიციის განვითარება ლონდონში მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ იგი გახდა ამერიკული პოლიციის ნიმუში, არამედ იმიტომაც, რომ მან იქონია უდიდესი გავლენა თითქმის ყველა ინდუსტრიული საზოგადოების პოლიციაზე.

დანაშაულთა პრევენცია წარმოადგენდა ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის უმთავრეს მიზანს. მან ხორცი შეასხა იდეას, რომ ამგვარი ძალების მოქმედება და ფუნქციონირება დამოკიდებული იყო ხალხთან, საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე, რომ პოლიციის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ჰუმანურნი საზოგადოებასთან მიმართებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციის პირველი დეპარტამენტი წარმოიშვა 1845 წელს ბოსტონში წარმოქმნილი არეულობის საპასუხოდ. ამერიკულმა პოლიციამ შეითვისა მრავალი ბრიტანული მეთოდი.

დღეს მსოფლიოში პოლიციელებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: კონსტაბლი, ჟანდარმი, პოლიციის აგენტი, შერიფი, დეტექტივი, მილიციელი.

თანამედროვე მსოფლიოში ყოველ ქვეყანაში პოლიციის სტრუქტურასა და ფუნქციებს გარკვეული თავისებურებები აქვთ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ-ტერიტორიულ დაყოფაზეა დამოკიდებული. ძირითადად პოლიციის მართვის სისტემა შედგება ორი მთავარი რგოლისგან: ცენტრალური და ტერიტორიული მართვის ორგანოები.

უმეტეს ქვეყნებში პოლიციის ხელმძღვანელობა მთელი ქვეყნის მასშტაბით სპეციალურ დაწესებულებაში – შინაგან საქმეთა, უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის და ა.შ. სამინისტროში კონცენტრირდება.

ვინ შეიძლება გახდეს პოლიციელი?

პოლიციის სამსახურში მოხვედრა სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხვას ნიშნავს, პოლიციელი ყოველთვის სახელმწიფოს წარმომადგენელია.

სხვადასხვა ქვეყანაში პიროვნება, რომელსაც სურს გახდეს პოლიციელი, სხვადასხვა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, ინგლისსა და უელსში პოლიციაში მიიღებიან პირები, რომლებსაც 18,5 წელი შეუსრულდათ, თუმცა პოლიციელის უფლებების მთლიანი მოცულობით შესრულების უფლება მათ

ლექსიკონი

- **ფედერალური – იგივეა რაც ფედერაციული** - ფედერაციის საფუძველზე აგებული;
- **ფედერაცია** - სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფოსგან იქმნება ერთი სახელმწიფო.

მხოლოდ 19 წლის შესრულების შემდეგ ეძლევათ. პოლიციის სამსახურში შემსვლელ პრეტენდენტებს უნდა ჰქონდეთ დამაკმა-ყოფილებელი ჯანმრთელობა. მამაკაცები სიმაღლეში 172 სმ-ს უნდა აღემატებოდნენ. განათლების დონეს ყურადღება ექცევა იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობას შეასრულებს პრეტენდენტი, მაგრამ მას გავლილი უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლის სრული კურსი.

გერმანიის ფედერალური პოლიციის ორგანოებში შეიძლება ჩაირიცხონ 18 - 24 წლის საშუალო განათლების მქონე პირები და პოლიციის რიგებში მსახურობა მათ 60 წლის ასაკამდე შეუძლიათ.

საფრანგეთში პოლიციის რიგებში მიიღებიან მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 21 წელი და მათი ასაკი არ აღემატება 28 წელს. მათ, ასევე, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ავტომობილის მართვის მოწმობა. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ გავლილი უნდა ჰქონდეთ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

თანამედროვე მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიციელთა საერთო და სპეციალური განათლების დონის ამაღლებას, რისთვისაც სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებებია შექმნილი, მაგალითად, პოლიციის აკადემია.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში, ყველა პოლიციელი 17- კვირიან სასწავლო კურსს გადის.

საქართველოს პოლიცია

საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. პოლიცია თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს. პოლიციის სისტემაში დასაქმებული პირები შეიძლება ატარებდნენ პოლიციის სპეციალურ წოდებებს ან სამხედრო წოდებებს.

“საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ” განსაზღვრავს პოლიციის ამოცანებს, პოლიციის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და პოლიციის საქმიანობის პრინციპებს.

ცხადია, პოლიციელებს აქვთ მკაცრად გაწერილი მოვალეობები. მაგალითად:

- პოლიციელი მოვალეა, მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი

უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

- მოქალაქესთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები;
- დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები;
- გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული.

დავალება:

შენი აზრით, კიდევ რა მოვალეობები აქვს პოლიციელს?

პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ცხადია, აქვს შესაბამისი უფლებები. მაგალითად:

კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება;

კანონმდებლობით დადგენილი წესით შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ.

დავალება:

შენი აზრით, კიდევ რა უფლებები აქვს პოლიციელს?

პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც აქვს მინიჭებული სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.

დავალება:

დანართში გაეცანი "საქართველოს კანონის პოლიციის შესახებ" მე-20, 21-ე, 22-ე და 23-ე მუხლებს, მოკლედ ჩამოაყალიბე, როგორ ხდება პოლიციელთა სამსახურში მიღება და დათხოვნა, ასევე, პოლიციელების პროფესიული

მომზადება და გადამზადება. აღნიშნული წესები შეადარე სხვა ქვეყნების შესაბამის მოთხოვნებს. შედარების საფუძველზე ჩამოაყალიბე შენი დასკვნები.

დანართი:

საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ

მუხლი 20. პოლიციელთა სამსახურში მიღების წესი

1. პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები;

ბ) რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას.

11. წვევამდელმა პოლიციაში მიღებამდე ან მიღების შემდეგ უნდა გაიაროს სპეციალური მომზადების პროგრამა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით.

12. წვევამდელს პოლიციაში მიღების შემდეგ მიენიჭება პოლიციის რიგითის უმცროსი სპეციალური წოდება.

13. წვევამდელს პოლიციაში 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური ჩაეთვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდად.

14. წვევამდელის მიერ გაწვევით სავალდებულო სამხედრო სამსახურის ან საკონტრაქტო სამსახურის მოხდის წესი და ვადა განისაზღვრება ამ კანონის 211 მუხლით.

2. სამინისტროს სამხედრო სამსახურში ჩაირიცხებიან მოქალაქეები, რომლებიც გაივლიან დამატებით სპეციალურ შემოწმებას.

3. პოლიციაში შესაძლებელია სამუშაოდ მიღებულ იქნეს 35 წელს გადაცილებული პირი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მიუხედავად მათი ასაკისა.

5. პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი. ქრონიკულ სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუუნაროდ.

მუხლი 21. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი

1. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება სამინისტროს ნორმატიული აქტებით.

2. აკრძალულია პოლიციელის გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.

3. პოლიციელს აკრძალული აქვს, სამსახურთან ერთად ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში.

4. პოლიციელს აკრძალული აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

მუხლი 21[1]. სამხედრო ვალდებულების მოხდა პოლიციაში

1. პოლიციაში სამხედრო ვალდებულების მოსახდელად შეიძლება ჩაირიცხოს წვევამდელი, რომელსაც სამხედრო სამსახურის ვადა განესაზღვრება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. პოლიციაში ჩასარიცხ წვევამდელთა შერჩევის, სამხედრო სამსახურის გავლისა და დაფინანსების წესი განისაზღვრება „პოლიციაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის წესის შესახებ“ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

3. პოლიციაში წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურის გავლა ჩაითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდად და აღნიშნული პირი სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ ჩაირიცხება საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში რიგითის სამხედრო წოდებით.

მუხლი 22. პოლიციელთა სამსახურიდან დათხოვნის წესი

1. პოლიციელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს:

ა) განსაზღვრული ასაკის მიღწევის გამო ან წელთა ნამსახურობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადების გამო, რომელთა მიზეზით აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;

გ) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;

დ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;

ე) რეორგანიზაციისას ან/და შტატების შემცირებისას;

ვ) საკუთარი სურვილით;

ზ) ფიცის გატეხისათვის, პოლიციელისათვის შეუფერებელი საქციელისთვის;

თ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ი) კორუფციული სამართალდარღვევისათვის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

კ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;

ლ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.

2. პოლიციელის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

3. კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელები განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლებიან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

მუხლი 23. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება

1. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სამინისტროს შესაბამის სპეციალურ პროფესიულ დაწესებულებაში.

2. პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ პირს, ასევე პოლიციის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პოლიციელს, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისას, სპეციალური მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ მიენიჭება პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თემა 2

არასრულწლოვანი და კანონი

ჩვენ და კანონი

საქართველოში რომელი ასაკიდან მოქმედებს შემდეგი ქმედებების დამარეგულირებელი კანონები:

1. **მანქანის მართვის უფლების აღება?**
2. **დაქორწინება?**
3. **არჩევნებში მონაწილეობა?**
4. **სამხედრო სამსახურში წასვლა?**
5. **პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა?**
6. **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი?**
7. **იარაღის ტარების უფლება?**
8. **აზარტული თამაშების თამაშის უფლება?**
9. **საშემოსავლო გადასახადის გადახდა?**

დავალება:

მოგწონთ თუ არა ეს ასაკობრივი ზღვარი? თითოეული ქმედების შესაბამისად პასუხის მოცემული სამი ვარიანტიდან აირჩიე ერთი და დაასაბუთე შენი არჩევანი:

1. **ძალიან მაღალი**
2. **ძალიან დაბალი**
3. **ნორმალური**

ლექსიკონი

- **პოლიტიკური საქმიანობა** - პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება, ნებისმიერ არჩევით ორგანოში არჩევის უფლების გამოყენება;
- **აზარტული თამაშები** - ანუ თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა.

ვინ არის არასრულწლოვანი?

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს თუ ჩავხედავთ, წავიკითხავთ, რომ არასრულწლოვანია ის, ვინც სრულწლოვანი არაა, სრულწლოვანება კი არის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ ადამიანი სრულფასოვანი მოქალაქე ხდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს. სრულწლოვანებასთან ერთად მოქალაქე ხდება ქმედუნარიანი, რაც გულისხმობს, რომ თავისი ნებითა და მოქმედებით იგი სრულად ახორციელებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მართვის მოწმობის აღება, დაქორწინება, იარაღის შენახვისა და ტარების უფლების მიღება, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც კრძალავს სკოლის ტერიტორიაზე იარაღის ტარებას და, მიუხედავად ასაკისა და ნებართვისა, სკოლის ტერიტორიაზე იარაღით შესვლა არ შეიძლება. ასეთივე აკრძალვები მოქმედებს მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებშიც, მაგალითად სასამართლოში.

ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში 16 წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თუმცა, ის, რომ პირი არასრულწლოვანია, არ ნიშნავს, რომ კანონი არ იცავს მის ინტერესებსა და უფლებებს და, ასევე, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ აკისრებს პასუხისმგებლობას.

არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად ქვეყანაში მოქმედებს კანონი "მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ". ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა არის მავნე ზეგავლენა? აღნიშნული კანონის მესამე მუხლის თანახმად, მავნე ზეგავლენა ეს არის იმ ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება–გასაღებით, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას.

დავალება:

ჩამოაყალიბე 2 არგუმენტი, თუ რატომ არის აუცილებელი ქვეყანაში ამგვარი კანონის არსებობა.

არასრულწლოვანი და სამოქალაქო სამართლის კოდექსი

მავნე ზეგავლენის გარდა, არასრულწლოვანი დაცულია მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან. ეს უფლება მას გარანტირებული აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.

ნებისმიერი მოქალაქე, რომლისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

6 წლის ნ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გვიან ღამით ქუჩაში იპოვეს და ბავშვთა სახლში მიიყვანეს. სამედიცინო შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვს სხეულისა და სახის არეში ჰქონდა დაზიანებები. ბავშვის თქმით, დაზიანებები მას დედამ მიაყენა. ნ.-მ სამართალდამცველებს უამბო, რომ დედა სცემდა და გვიანობამდე ქუჩაში მათხოვრობას აიძულებდა. საკითხის შესწავლის მიზნით ბავშვთა სახლის ადმინისტრაციამ რესურსცენტრს მიმართა. დადგინდა, რომ ნ. ნამდვილად იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და სასტიკ პირობებში უწევდა ცხოვრება. რესურსცენტრმა შესაბამისი ზომები მიიღო და ამჟამად ნ. ბავშვთა სახლის ბინადარია. როგორც ცნობილი გახდა, რესურსცენტრმა 6 წლის ნ.-ს დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

ლექსიკონი

- **კოდექსი** - კანონთა კრებული.

დავალება:

განიხილე მოცემული შემთხვევა. შენი აზრით, რატომ მიმართა რესუსრსცენტრმა სასამართლოს? სწორად მოიქცნენ თუ არა სამართალდამცველები და ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია.

არასრულწლოვნის უფლებები დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითაც. მაგალითად, დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ავტომობილის გადაცემა, რადგან ამან შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას არა მხოლოდ არასრულწლოვანს, არამედ სხვა მოქალაქეებსაც. კოდექსის თანახმად, კანონდამრღვევს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი.

დავალება:

განიხილე მოცემული შემთხვევები და იმსჯელე, ვინ არის მომხდარში დამნაშავე.

1. 15 წლის არასრულწლოვანმა გოგონამ მამის მეგობარს ახალი ჯიპის გასაღები გამოართვა, მანქანაში მუსიკას მოგუსმენო. ცოტა ხნის შემდეგ გოგონა ისე მოიხიბ–ლა ახალი ავტომობილით, რომ გასეირნება გადაწყვიტა. ეზოში არავინ იყო. გოგონამ მანქანა დაძრა. მანქანა უკუსვლით დაიძრა, დაგორდა, ქუჩაში გავიდა და მოულოდნელად ტროტუარზე მიმავალ მოხუც ქალბატონს დაეჯახა. ქალბატონი წაიქცა და თავი დაარტყა. სხეულის მძიმე დაზიანებებით მოხუცი ქალბატონი საავამდყოფოში გადაიყვანეს.

2. 16 წლის გ. ს. სახლში მარტო იყო. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა. ბიჭმა ეზოში მდგარი მამის კაბრიოლეტის გასაღები დაუკითხვად აიღო, მეგობარ გოგონებს გაუარა და ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა. გოგონებს გაუხარდათ და სიამოვნებით დასთანხმდნენ. სულ ექვსნი იყნენ: გ.ს. და 5 არასრუწლოვანი გოგონა. გ. ს. მანქანას სწრაფად მართავდა. მგზისტრალზე საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის საგალი ნაწილიდან გადავიდა და დიდ ხეს შეეჯახა. ექვსივემ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. გ. ს. ს ხერხემალი დაუზიანდა და არავინ იცის, როდის შეძლებს დამოუკიდებლად სიარულს.

არასრულწლოვანი და სისხლის სამართლის კოდექსი

ნებისმიერი ადამიანის ურთიერთობა კანონთან უფრო მარტივი და ადვილად გასაგები ხდება, როდესაც ადამიანმა იცის კანონი და ის პასუხისმგებლობები, რომლებიც მას დაეკისრება შესაბამისი კანონის დარღვევისათვის.
სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გარკვეულ ასაკამდე არასრულწლოვანს არ ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სისხლისსა-

მართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი, ანუ კანონის თანახმად, არასრულწლოვანია მოზარდი 14-დან 18 წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 1 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში ამოქმედდა ცვლილება, რომლის თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თორმეტი წელი. კოდექსის თანახმად, იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებების აშენებამდე ან/და მოდიფიცირებამდე, სადაც თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვანი მსჯავრდებულები განთავსდებიან, თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულებს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის სახით უნდა შეეფარდოთ ჯარიმა.

დავალება:

გაეცანი დანართში მოცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238[1] –ე მუხლებს. ჩამოაყალიბე შენი მოსაზრება კანონის გამკაცრების მიზეზებისა და მიზნების თაობაზე.

არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება სასჯელის შემდეგი სახეები: ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. ამდენად, კანონმდებლობით გარკვეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

არასრულწლოვანი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ

არსებობს საკმაო საფუძველი, ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

არასრულწლოვანთა დაკავების დროს გამოიყენება დაკავების იგივე საფუძვლები და წესები, რომლებიც ნებისმიერი მოქალაქის დაკავების დროს.

დავალება:

გაეცანი დანართში მოცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე და 145–ე მუხლებს და მოკლედ ჩამოაყალიბე არასრულწლოვნის დაკავების საფუძვლები და წესები.

არასრულწლოვანის დაკითხვის პროცესუალური ნორმები განსხვავდება საერთო წესისგან და ისინი კონკრეტულად არის გაწერილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

- არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ პირობით, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით წარმოადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები.
- არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება არასრულწლოვანი მოწმის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.
- 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას მეურვის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.
- დაკითხვის დაწყებამდე პედაგოგს, კანონიერ წარმომადგენელს ან მშობელს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვთ დაესწრონ დაკითხვას, გამოთქვან თა ვიანთი მოსაზრებები და, გამომძიებლის ნებართვით, დასვან შეკითხვები.
- 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.
- არასრულწლოვანი პირობას დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში.
- 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზიდან უნდა გაიყვანონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას.

ეს ამბავი 10–12 წლის წინ მოხდა. არასრულწლოვანი ვ. დ.–ს ვადმოცემით, დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა მას გადაუვრიხეს ფეხები, ტანსაცმელი დაახიეს და ავტომობილის საბარგულში ჩააგდეს. საბარგულში ბენზინის მძაფრი სუნი იდგა, რის გამოც სუნთქვა უჭირდა და გამოშვებას ითხოვდა. მის თხოვნაზე კი პოლიციელებმა მაგნიტოფონი ჩართეს და მუსიკას უსმენდნენ. პოლიციის განყოფილებაში მისვლიდან ღამის 2.00 საათამდე მას ემუქრებოდნენ და მისგან მოითხოვდნენ სოფელში ჩადენილი მკვლელობის ფაქტის აღიარებას.

დავალება:

განიხილე მოცემული შემთხვევა. განსაზღვრე და ჩამოთვალე, რომელი კოდექსის და კონკრეტულად რომელი მოთხოვნები დაარღვიეს პოლიციელებმა.

რაც შეეხება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოების წესს,ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დადგენილი საერთო წესებითა და რამდენიმე ცალკეული მუხლით.

ხოლო რაც შეეხება არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობას, 2005 წლის მაისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოება უნდა განახორციელონ მხოლოდ იმ მოსამართლეებმა, პროკურორებმა და გამომძიებლებმა, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

დავალება:

მეწყვილესთან შეთანხმებით განსაზღვრე კანონმდებლების ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ, სასამართლოს უფლება აქვს არასრულწლოვანი განსასჯელი გაიყვანოს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიონ გარემოებები, რომელთაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მასზე. არასრულწლოვნის დარბაზში დაბრუნების შემდეგ თავმჯდომარე მას აცნობს მის არყოფნაში მომხდარი განხილვის შინაარსს საჭირო მოცულობითა და ფორმით, აძლევს შესაძლებლობას,კითხვები დაუსვას მისი მონაწილეობის გარეშე დაკითხულ პირებს.

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის-სამართლებრივ ღონისძიებას;

სისხლის სამართლის საპროცეო კოდექსის ამოცანებია დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი; უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება; არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება; გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები; დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა;

მეურვეობა და მზრუნველობა – არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის;

მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე;

საგანმანათლებლო რესურსცენტრი - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (შემდგომში – რესურს-ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიულ ორგანოს.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია საგანმანათლებლო რესურსცენტრები, რომლებიც იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

საგანმანათლებლო რესურსცენტრების მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი;

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

თემა 3

სასამართლო

საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, გარდა სასამართლოსი, არ აქვს უფლება განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო, სისხლის და სხვა კატეგორიის საკითხები, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს.

სასამართლო არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო.

საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ:

ა) **რაიონული (ქალაქის) სასამართლო** – მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად. მას აცვია შინდისფერი მანტია.

ბ) **თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები** – სასამართლო საქმეს განიხილავს ძირითადად კოლეგიურად. მოსამართლეებს აცვიათ მუქი მწვანე მანტიები.

გ) **საქართველოს უზენაესი სასამართლო** – სასამართლო საქმეს განიხილავს კოლეგიურად. მოსამართლეებს აცვიათ შავი მანტიები.

ლექსიკონი

- **მანტია** – გრძელი, ფართო წამოსასხამი;
- **კოლეგია** - სამი მოსამართლისგან შემდგარი სასამართლო.

მოსამართლე

სასამართლოს ხელისუფლების მატარებლად საქართველოში გვევლინებიან მოსამართლეები, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულების განხორციელების უფლება და რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს პროფესიულ დონეზე. სწორედ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეებმა შეძლონ დაკისრებული მოვალეობების ასეთ დონეზე შესრულება, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც პირი უნდა აკმაყოფილებდეს, რათა დაინიშნოს მოსამართლედ. კერძოდ, მოსა-

მართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე (სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში მოსამართლედ ვერ იმუშავებს) 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ამასთან, მოსამართლეობის მსურველს, ასევე, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სპეციალური გამოცდა, სადაც მოწმდება მისი განათლება და წარმატებით უნდა დაამთავროს იუსტიციის სასწავლო სკოლა.
საქართველოში ყველა მოსამართლე ინიშნება უვადოდ, ანუ პირი მოსამართლე იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ვინაიდან მოსამართლე ახორციელებს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობას (არკვევს, ადამიანი დამნაშავეა თუ უდანაშაულო. დამნაშავეობის შემთხვევაში კი კანონისა და საკუთარი რწმენის საფუძველზე წყვეტს, თუ რა სახის სასჯელი შეუფარდოს მას), და რაკი ის ვალდებულია, არ დაუშვას უდანაშაულო პირის დასჯა, მას სჭირდება დროით განმტკიცებული ცხოვრებისეული გამოცდილება. სწორედ ამის გათვალისწინებით დააწესა კანონმა ასაკობრივი ზღვარი – 28 წელი.

ლექსიკონი

- **იერარქიული** – იერარქიის ხასიათისა;
- **იერარქია** – წესი თანამდებობრივად უდაბლესის დაქვემდებარებისა უმაღლესისადმი;
- **იუსტიციის უმაღლესი სკოლა** – სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის პროფესიული მომზადება. სკოლის მიზანია, უზრუნველყოს მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** – მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით შექმნილი ორგანო.

თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე, რომელსაც პირველად ნიშნავენ ამ თანამდებობაზე, საზეიმო ვითარებაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე დებს ფიცს, რომლის ერთგულიც უნდა იყოს მთელი სამოსამართლო საქმიანობის განმავლობაში.

საერთოდ, მოსამართლეობა ყველა ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობაა, რომელიც დაკავშირებულია დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთან. მოსამართლეს უწევს ადამიანის ბედის განსაზღვრა. მან უნდა დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება და გამოიტანოს სამართლიანი საბოლოო გადაწყვეტილება.

სასამართლოს ატრიბუტიკა

მართლმსაჯულების სიმბოლოს წარმოადგენს თემიდა. ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთს სამართლიანობის ნიშნად თვალები რიდით აქვს ახვეული, ხელში კი სასწორი უჭირავს. თითქმის ყველა სასამართლოს შენობას თემიდას გამოსახულება ამშვენებს.

მართლმსაჯულება აღესრულება სასამართლოში, კონკრეტულად კი სხდომათა დარბაზში, რომელიც გარკვეული წესით არის განლაგებული. მოსამართლისგან მარცხნივ ბრალმდებელი, ანუ პროკურორი ზის, ხოლო მარჯვნივ, განსასჯელთან ახლოს, ადვოკატი.

მხარეებს შორის, შემაღლებულ ადგილას, ნიშნად იერარქიული უპირატესობისა, დგას მოსამართლის მაგიდა. მაგიდაზე მართლმსაჯულების ერთ-ერთი სიმბოლო - ჩაქუჩი დევს. ჩაქუჩი უძველესი დროიდან უმაღლესი საერო პირის - მეფის ბრძანების აღსრულების სიმბოლოდ გამოიყენებოდა. ამჟამად კი ეს სიმბოლიკა მოსამართლის სიძლიერისა და განაჩენის აღსრულების სიმბოლოა.

ჩაქუჩის გარდა, მოსამართლის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია მანტია. სასამართლო პროცესიც მხოლოდ მანტია მოსხმული მოსამართლის მიერ წარიმართება.
„მანტიით შემოსილი მოსამართლის მიერ პროცესის ჩატარება სასამართლო ხელისუფლების ღირსების ერთ-ერთი სიმბოლოა, რომელიც იმავდროულად მიუთითებს მოსამართლისა და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს შორის გარკვეული დისტანციის არსებობაზე“ – ასეთია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის განმარტება მანტიის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში სასამართლო პროცესზე მანტიით მხოლოდ მოსამართლეები წარდგებიან. უცხოეთისაგან განსხვავებით, სხვა მხარეებს სპეციალური ფორმა ჯერჯერობით არ გააჩნიათ.

მოსამართლე – საქართველოს კანონმდებლობით, საერთო სასამართლოს თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას.

დოკუმენტი:

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თავი VII, მუხლი 46. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს

1. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული გა-

ნათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი.

2. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი

მუხლი 47. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

პირი,რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჩაითვლება მოსამართლეობის კანდიდატად მას შემდეგ,რაც მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგენს განცხადებას.

მუხლი 471. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი

ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავისი თანხმობით, თავისივე უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, კონკურსის გარეშე დაინიშნოს ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ.

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით.

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

დავალება:

დაასახელე არგუმენტები მოსამართლის უსაფრთხოების განსაკუთრებულად უზრუნველყოფის მიზეზებთან დაკავშირებით.

მანდატური

სასამართლო პროცესზე ვინც ერთხელ მაინც ყოფილა, ალბათ შენიშნავდა სპეციალურ ფორმაში გამოწყობილ ადამიანს, რომელიც პროცესის მიმდინარეობის დროს დარბაზში წესრიგს უზრუნველყოფს.

ამ ადამიანს სასამართლო მანდატური ეწოდება და იგი მოსამართლის ბრძანებას ემორჩილება. სასამართლოებში ეს სპეციალურ ფორმიანი ადამიანები 2006 წლიდან გამოჩნდნენ და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს პროცესები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, ამასთან დაცულია პროცესის მონაწილე მხარეების უსაფრთხოებაც. სასამართლოს მანდატურს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უფლება აქვს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი; აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას.

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია წესრიგის დამრღვევი პირი დარბაზიდან გააძევოს, 50-დან 500 ლარამდე თანხით დააჯარიმების, ან 30 დღემდე დაპატიმრების თაობაზე გადაწყვეტილებაც გამოიტანოს. სასამართლოს მანდატურის მოვალეობა კი მოსამართლის ამ გადაწყვეტილების უშუალოდ აღსრულებაა;

სპიკერი მოსამართლე

ასევე დასავლეთის პრაქტიკას უკავშირდება საქართველოს სასამართლო სისტემაში სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება. სპიკერ-მოსამართლის მეშვეობით სასამართლოს აქვს საშუალება საზოგადოებას თავისი პოზიცია გააცნოს.

მოგეხსენებათ, რომ მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე გამოაქვს გადაწყვეტილება, შემდეგ მოსამართლე წერს, ანუ ასაბუთებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ეს გადაწყვეტილება საჯაროა როგორც კონკრეტულად ამ პროცესის მონაწილე მხარეებისთვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის ჟურნალისტებისათვისაც.

ლექსიკონი

- **სპიკერი** - საკანონმდებლო ორგანოს სხდომების წარმმართველი. ტერმინი დამკვიდრდა ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერებთან ანალოგიით.

მოსამართლის მიერ დაწერილი გადაწყვეტილება იურიდიული დოკუმენტია და, შესაბამისად, იგი მუხლებით და იურიდიული ტერმინებითაა სავსე, ამიტომ ხშირად ჟურნალისტებს უჭირთ სწორად გაიგონ გადაწყვეტილების შინაარსი და, შესაბამისად, საზოგადოებასაც ზუსტად აუხსნან, თუ რაზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება.

ამიტომ ჩვენთანაც, უცხოეთის პრაქტიკის გათვალისწინებით, შემოიღეს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი.

სპიკერ-მოსამართლე არის ჩვეულებრივი მოსამართლე, რომელიც, თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა, ვალდებულია ჟურნალისტებს კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მარტივად და პოპულარულ, საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას.

სასამართლოს მდივანი არის პირი, რომლიც იწერს სასამართლო პროცესს, ადგენს განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და მოსამართლესთან ერთად ხელს აწერს მათზე.

როგორ მოქმედებს კანონი

გაეცანი ქვევით მოცემულ შემთხვევას:

16 წლის ლალის მამა სისტემატურად სვამდა. სიმთვრალეში საკუთარ გოგონებს, ლალის და 12 წლის ანას, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ყვიროდა და ჩხუბობდა. 2008 წლის 24 ივნისს ლალის მამა სახლში ნასვამი მივიდა და, ჩვეულებისამებრ, ჩხუბი და ყვირილი დაიწყო. ამ დროს სახლში ბრუნდებოდა 16 წლის ირაკლი, რომელიც მათ მეზობლად ცხოვრობდა და ძალიან კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა მისი კლასელის და მეგობრის, ლალის, ოჯახში. ირაკლის ლალი ძალიან მოსწონდა და მის გამო ძალიან ნერვიულობდა. ირაკლის ყვრილი მოესმა, ლალის კართან აიტუზა და ყური დაუგდო. კარგად ისმოდა ლალის მამის ყვირილი და გოგონების ტირილი. ირაკლიმ ზარი დარეკა, კარი ანამ გააღო და ბიჭი სახლში შევიდა. ლალი და მამამისი ამ დროს სამზარეულოში იყვნენ, გოგონა მამის დამშვიდებას ცდილობდა და სადილს უცხელებდა. ირაკლი სამზარეულოში შევიდა. ბიჭის გამოჩენაზე მთვრალი მამაკაცი კიდევ უფრო გაბრზადა და ყვირილს მოუმატა. ირაკლი დაჟინებით სთხოვდა, გოგონებისთვის თავი დაენებებინა და დასაძინებლად წასულიყო. მამაკაცი გაბრაზდა, ახლა შენ მასწავლე ჭკუაო, სამზარეულოს მაგიდიდან დანა აიღო და ირაკლის მოუქნია. ირაკლიმ შეძლო მარცხენა ხელით დაეჭირა ლალის მამის ხელი, ხოლო მარჯვენა ხელით ტაფა აიღო და მთელი ძალით ჩაარტყა თავში. შედეგად ლალის მამამ მიიღო ტვინის შერყევა, ყბის ძვლის მოტეხილობა, მარცხენა თვალისა და ლოყის არეში დარჩა ნაიარევი.

დავალება:

მასწავლებლის დახმარებით გაინაწილეთ როლები:

- განსასჯელი - 1;
- დაცვის ჯგუფი - 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- ბრალდების ჯგუფი - 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- ნაფიცი მსაჯულები - 6-დან 12-მდე ან 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- მოსამართლე – 1;
- სასამართლო სხდომის მდივანი - 1.

მოწმეები - 6:

- დაზარალებულის ქალიშვილები;
- დაზარალებულის მეუღლე;
- განსასჯელის დედა;
- მეზობლები - 2;
- უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი.

დაცვისა და ბრალდების ჯგუფები ამუშავებენ საქმის მასალებს, ხოლო ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა მოისმინონ მათ მიერ დამუშავებული მასალა. საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვთ ნაფიც მსაჯულებს, ხოლო მოსამართლე უფარდებს სასჯელს.

ლექსიკონი

- **პროკურორი** – პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს;
- **ადვოკატი** – ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა; კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში;
- **ბრალდებული** – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი;
- **განსასჯელი** – ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

გახსოვდეთ, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 108. განზრახ მკვლელობა

განზრახ მკვლელობა,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

1. განზრახ მკვლელობა:

ა) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

დ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე.

2. განზრახ მკვლელობა:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური,

ლექსიკონი

- **ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული;**
- **ნაფიცი მსაჯული – ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ისინი, როგორც წესი, ქმნიან დამოუკიდებელ კოლეგიას, რომელიც ვერდიქტის გამოტანით წყვეტს მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში განაჩენს ადგენენ და სასჯელს ნიშნავენ პროფესიონალი მოსამართლეები დამოუკიდებლად ან ნაფიც მსაჯულებთან ერთად;**
- **ინსპექტორ-გამომძიებელი – სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება;**
- **მოწმე – პირი, რომლისთვისაც ცნობილია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.**

ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

ე) ჯგუფურად,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.

3. განზრახ მკვლელობა:

ა) ორი ან მეტი პირისა;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა), – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

დ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე.

5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

ე) ჯგუფურად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე.

7. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

ვ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე.

მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე–141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

გ) ჯგუფურად;

დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

4. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

5. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

მუხლი 178. ძარცვა

2. ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით:

ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ბინაში უკანონო შეღწევით;

დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ე) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

მუხლი 179. ყაჩაღობა

1. ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

ბ) ჯგუფურად;

გ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ბინაში უკანონო შეღწევით;

გ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 238. ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა

ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 238[1]. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, – ისჯება ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) არაერთგზის; ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 142. დაკავების საფუძველი
1. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;

ბ) თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;

გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;

დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა;

ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.

ვ) პირი შესაძლოა მიიმალოს.

3. დაკავებისაგან განთავისუფლებული პირის ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით არ შეიძლება.

მუხლი 145. დაკავების წესი

1. თუ პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს ამ კოდექსში აღნიშნული დაკავების საფუძვლები, იგი ვალდებულია გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს ეჭვმიტანილს, განუმარტოს, სახელდობრ, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და, ასევე, აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებულ იქნა დაკავებული პირის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე.

2. პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

3. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს ამ კოდექსით დადგენილი წესით უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა, რაზედაც კეთდება აღნიშვნა დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში, ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება.

4. მოქალაქე ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არსებობისას ვალდებულია დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში ანდა გადასცეს იგი ხელისუფლების წარმომადგენელს.

5. პოლიციის თანამშრომელმა ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა, რომელიც ახორციელებს ეჭვმიტანილის დაკავებას ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის მიყვანისთანავე. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კანონში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი, მისი პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის უფლებების ჩამონათვალი, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამო შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე. ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი დამცველი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების ოქმს ხელმოწერით ადასტურებს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. თუ დაკავებისას პირს არ განემარტა დუმილის, დანაშაულის არდაბრალების, ასევე დამცველის მოწვევის უფლების თაობაზე, არ გადაეცა დაკავების ოქმი, ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება.

6. ეჭვმიტანილი დაკავების შემდეგ შეიძლება დაიკითხოს ამ კოდექსით დადგენილი წესით. დაკავებული, მისი მოთხოვნით, დაკითხვის შემდეგ უნდა შეამოწმოს ექიმმა და უნდა შედგეს სათანადო ცნობა.

7. დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

8. გამომძიებელს, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად და დასაზუსტებლად, დაკავების კანონიერების შესამოწმებლად.

9. დაკავების ვადის გასვლამდე პირს უნდა წაუყენონ ბრალდება და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხოს, როგორც ბრალდებული, ამ კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით. ამის შემდეგ გამოძიების ორგანოს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს, თუ მას დაკავების ვადის

განმავლობაში ბრალდება არ წარედგინა.

მუხლი 148. დაკავების დროის ჩათვლა

პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

მუხლი 149. დაკავებულის ყოფნის ადგილი

დაკავებული იმყოფება დროებითი ყოფნის იზოლატორში, ხოლო სამხედრო მოსამსახურე – ჰაუპტვახტში. დაკავებულთა ყოფნის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 150. დაკავებისაგან განთავისუფლების საფუძველი და წესი

1. დაკავებული უნდა განთავისუფლდეს, თუ:

ა) არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

ბ) დაკავებულის დაპატიმრება არ არის აუცილებელი;

გ) გავიდა დაკავების კანონით დადგენილი ვადა, ანდა არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა;

დ) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

2. დაკავებული თავისუფლდება იმ თანამდებობის პირის დადგენილებით, რომელმაც იგი დააკავა აგრეთვე გამომძიებლის, ან პროკურორის დადგენილებით, ანდა დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ დაკავების ვადა გავიდა.

3. დაკავებულს განთავისუფლებისას მიეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება, ვინ, სად, როდის, რის საფუძველზე დააკავა იგი და რის საფუძველზე და როდის იქნა განთავისუფლებული.

4. უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული.

5. პროკურორის დადგენილებით, შესაძლებელია დაკავებულის დროებითი გამოყვანა დაკავების ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.

თემა 4

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები

კონფლიქტი და კონფლიქტური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მაგრამ თუ ადამიანს შეუძლია მათი მართვა და გაკონტროლება, მაშინ ეს სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა.

საზოგადოებრივი კონფლიქტი არის უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების წევრებსა ან ინდივიდებს შორის. ძირითადად განიხილავენ ხუთი ტიპის საზოგადოებრივ კონფლიქტს: ღირებულებითი (დაკავშირებული გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ), ინფორმაციული (დაკავშირებული ინფორმაციის სიმცირე/სიჭარბესთან, ხარისხთან, დეზინფორმაციასთან), ურთიერთდამოკიდებულებითი (რომელსაც ქმნის ურთიერთობის ნაკლებობა ან არარსებობა), ინსტიტუციური (უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს) და ინტერესთა (დაკავშირებული მოთხოვნილებებთან და ქცევებთან). ამ ტიპის კონფლიქტები ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე სახის კონფლიქტი იჩენს თავს.

დავალება:

განიხილე ქვევით მოცემული კონფლიქტური სიტუაციები. საზოგადოებრივი კონფლიქტის რომელ ტიპს მიაკუთვნებდი თითოეულ მათგანს?

თანაკლასელებმა ახალგადმოსული მოსწავლე აითვალწუნეს და ყველანაირად ცდილობდნენ მის იძულებას მათი კლასი დაეტოვებინა. აღსანიშნავია, რომ მათ კარგად არ გაუცვნიათ ახალი კლასელი, არ იცნობდნენ მის ხასიათსა და ჩვევებს. ათვალწუნებული მოსწავლე კი არ შეურიგდა კლასელების დამოკიდებულებას და მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

ბავშვს უნდა ფეხბურთზე სიარული, მშობლებს კი მიაჩნიათ, რომ ეს დროის უქმად კარგვაა და მისგან უფრო მეტ შეცადინეობასა და ფეხბურთისათვის თავის დანებებას აიძულებენ. მათ შორის ურთიერობა იძაბება.

ერთ-ერთმა მოწაფე გოგონამ აფრიკული ნაწნავები გაიკეთა და ისე დადიოდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა მას კატეგორიულად განუცხადა, რომ თუ ნაწნავებს არ დაიშლიდა, სკოლაში არ დაუშვებდა. მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი.

ორმა ძმამ თმები გაიზარდა. ოჯახში ამ ამბავს სერიოზული უსიამოვნება მოჰყვა. მამას მიაჩნია, რომ არ შეიძლება გაუებმა გოგონებივით გრძელი თმებით იაროს. ბებია და ბაბუაც იზიარებენ მამის პოზიციას. თუმცა ბიჭებს ძალიან არ სურთ თმების შეჭრა. სიტუაცია იძაბება.

კონფლიქტის მოგვარების მრავალი ხერხი არსებობს. ისინი ძირითადად 3 ტიპად შეიძლება დაიყოს:

მოგება - მოგება
ანუ ისეთ გადაწყვეტილებამდე მისვლა, როდესაც ორივე მხარე მოგებულია;

მოგება - წაგება
ანუ გადაწყვეტილება, რომელშიც ერთი მხარე იგებს;

წაგება - წაგება
ანუ გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის წამგებიანია.

მაგალითად ავიღოთ ბურთის გამო მოჩხუბარი ორი ბავშვი. უფროსი ჩაერევა და ან ორივეს ერთად ათამაშებს, ან თანაბარ დროით მისცემს თითოეულ მათგანს. ამ შემთხვევაში მოჩხუბართაგან ორივე მოგებულია. თუ უფროსი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს მისცემს ბურთს, ცხადია, მხოლოდ ერთი იქნება მოგებული; და თუ უფროსი ბურთს ორივეს წაართმევს, მაშინ ორივე წაგებული დარჩება.

დავალება:

ჯგუფის წევრებთან ერთად შეეცადე ზემოთ მოცემული ერთ-ერთი კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრას. გადაწყვეტილება დაასაბუთე. ზემოთ განხილული სამი ხერხიდან რომელი გამოიყენე?

კონფლიქტის გადასაჭრელად ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური სტრატეგიის შეირჩეს. საზოგადოებრივი კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებია: განრიდება, კონკურენცია, კომპრომისი, თანამშრომლობა, შეგუება.

დავალება:

დაიყავით ჯგუფებად, განიხილეთ ქვევით მოცემული კონფლიქტური სიტუაცია. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ესა თუ ის ხერხი და სტრატეგია და დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

ეზოში ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. შემთხვევით მეზობლის ფანჯარა ჩაამტვრიეს. გაბრაზებულმა მეზობელმა ფანჯრის ჩატეხვა ეზოს ყველაზე ცელქ ბიჭს დააბრალა, თუმცა ის იმ დროს ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობდა და მეზობელ გოგონას ესაუბრებოდა. ბავშვებმა დაიწყეს გაბრაზებული მეზობლის დამშვიდება და ცდილობდნენ სიმართლის თქმას, თუმცა ქალბატონს არაფრის მოსმენა არ სურდა და უდანაშაულო ბიჭს და მის ოჯახს შეურაცხყოფას აყენებდა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ჩხუბში სხვა მეზობლებიც ჩაერთნენ.

დავალება:

დაიყავით ჯგუფებად, განიხილეთ ქვევით მოცემული სიტუაცია. მოცემულ შემთხვევაში თქვენ როგორ იმოქმედებდით, რათა კონფლიქტი არ დასრულებულიყო ორი არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებით.

ზაფხულის ცხელ დღეს პურის საცხობის წინ არასრულწლოვანი გიორგი შეხვდა ასევე არასრულწლოვან კლასელს, ლაშას, მასთან ერთად დაჯდა პურის საცხობის წინ, სკამზე და დაიწყეს საუბარი. რამდენიმე წუთის შემდეგ აღნიშნულ ადგილზე თავისი კუთვნილი ველოსიპედით პურის საყიდლად მივიდა ბიჭების პარალელურკლასელი არასრულწლოვანი კახა, რომელმაც ველოსიპედი დატოვა მაღაზიის კართან, თვითონ კი შევიდა პურის საყიდლად შენობაში. გიორგიმ და ლაშამ კახას ველოსიპედით ვასეირნება ვადაწყვიტეს. ორივე მივიდა ველოსიპედთან და გიორგიმ დააპირა მასზე დაჯდომა. ამ დროს შენობიდან გამოვიდა კახა და უთხრა, თავი გაენებებინათ ველოსიპედისათვის, რადგან თვითონ სჭირდებოდა და ვერ ათხოვებდა. ბიჭებმა სთხოვეს თითო წრეს გავაკეთებთ და დაგიბრუნებთო. როდესაც კვლავ უარი მიიღეს, გიორგიმ და ლაშამ ძალით სცადეს ველოსიპედის წაყვანა. ბიჭებს შორის ჩხუბი დაიწყო, რა დროსაც კახა წაბორძიკდა, იქვე დაწყობილ საცხობის შეშებზე დაეცა და შედეგად მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. ხმაურზე გამოვიდნენ იქვე მცხოვრები მოქალაქეები, ატყდა აყალმაყალი, საცხობის მფლობელმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა და გიორგი და ლაშა დააკავეს და სასამართლომ მათ თავისუფლება აღუკვეთა. გიორგის და ლაშას დაპატიმრებამ კახა ძალიან დაამწუხრა.

გულგრილობა და თანამშრომლობა

წარმოიდგინე სიტუაცია, რომ ფეხით მიდიხარ და ქუჩის მეორე მხარეს გინდა გადასვლა, თუმცა ახლოს შუქნიშანი და გადასასვლელი არსად არის, მაგრამ არის მიწისქვეშა გადასასვლელი. როგორ მოიქცევი: გადაირბენ თუ მიწისქვეშა გადასასვლელით ისარგებლებ? პასუხი დაასაბუთე.

წარმოიდგინე სიტუაცია, რომ ახალი წელი მოდის და საახალწლოდ ბუნებრივი ნაძვის ხის ქონის სურვილი გაგიჩნდა. როგორ მოიქცევი: იყიდი გასაყიდად გამოტანილ ბუნებრივ ნაძვის ხეს თუ ახლომდებარე ტყის მასივში პატარა, ლამაზ ნაძვის ხეს შეარჩევ და მოჭრი? პასუხი დაასაბუთე.

წარმოიდგინე სიტუაცია, მიდიხარ ქუჩაში და მიირთმევ ნაყინს. ნაყინის ჭამის შემდეგ ხელში ცარიელი ქაღალდი დაგრჩა. როგორ მოიქცევი: ქაღალდს იქვე დააგდებ თუ უახლოეს ნაგვის ურნას იპოვი და იქ ჩააგდებ? პასუხი დაასაბუთე.

განხილული სიტუაციების შემდეგ ადვილი მისახვედრია, რომ კანონები მხოლოდ კანონმდებელთა ახირება არ არის და მათი შესრულება ადამიანების კეთილდღეობას ემსახურება. ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ არ არსებობდეს საგზაო მოძრაობის წესები და ყველა ისე დადიოდეს, როგორც სურს, ფანჯრებიდან გადმოვყაროთ ნაგავი, გავჩეხოთ ტყეები, ყველას დავურიგოთ ცეცხლსასროლი იარაღი და ასე შემდეგ. ასეთ ქვეყანაში ცხოვრება, ალბათ, არავისთვის სასურველი არ იქნებოდა.

კანონები, რომლებიც ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას, მათ კეთილდღეობას, მშვიდობიანი გარემოს შექმნას, თავად ადამიანებისათვისაა აუცილებელი და, ძირითადად, მათ აღსასრულებლად იძულება საჭირო არ არის.

დავალება:

დაიყავით ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა რეალური ცხოვრებიდან უნდა გაიხსენოს რაიმე სიტუაცია და განსახილველად გადასცეს მეორე ჯგუფს. ჯგუფებმა უნდა განიხილონ სიტუაციები, წარმოადგინონ დასაბუთებული დასკვნები.

თემა 6



მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო იცავს არასრულწლოვანს მავნე ზეგავლენისგან. მიუხედავად ამისა, დღემდე არაერთი მოზარდი ექცევა მავნე ზეგავლენის ქვეშ და ისეთ მავნე ჩვევებს იძენს, როგორებიცაა: ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება, სიგარეტის მოწევა თუ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. ყოველივე ეს კი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს არასრუწლოვნის ჯანმრთელობას და ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება.

ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება და ნარკომანია მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს და სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კველევები და მათი შედეგები ძალზე საგანგაშოა.

დავიწყოთ ალკოჰოლიზმით.

ფაქტები:

ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ამერიკელების მესამედს მიაჩნია, რომ ალკოჰოლი მათი ოჯახის მთავარი პრობლემაა, ანუ აშშ–ში ალკოჰოლის ყოველი მეათე მომხმარებელი ქრონიკული ალკოჰოლიკია.

ბრიტანელი ექიმების მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, ქალებში ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკის 50%-ით მატებას იწვევს. ალკოჰოლი ყოველწლიურად მხოლოდ დიდ ბრიტანეთში სარძევე ჯირკვლის კიბოს 2000-ზე მეტი შემთხვევის მიზეზია.

ალკოჰოლიზმი, ასევე, იწვევს ღვიძლის ციროზს, ჰიპერტენზიას, ინსულტს, გულის იშემიურ დაავადებებს, კუჭის, ღვიძლის, სწორი ნაწლავის, ხორხის სიმსივნეებს.

ლექსიკონი

- **ალკოჰოლიკი (ლოთი)** - პირი, რომელსაც სმისთვის თავის დანებება არ ძალუძს და რომლის ცხოვრების წესზეც სმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;
- **ალკოჰოლიზმი** - მაგარი სასმელების ხშირად სმა, ლოთობა.

მაშინ რატომ სვამენ ახალგაზრდები?

მიუხედავად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის კულტურებს შორის არსებული განსხვავებისა, ახალგაზრდების უმეტესობა იზრდება გარემოცვაში, სადაც ალკოჰოლის გამოყენება ცხოვრების ნორმალურ წესად მიიჩნევა. მეტწილად ალკოჰოლის გამოყენება განიხილება, როგორც ლეგალური, სასიამოვნო ყოველდღიური მოვლენა. უმეტესი კულტურებისათვის ალკოჰოლი დღესასწაულებისა და ცერემონიების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ვაზის კულტურა საქართველოში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. გაბატონებულმა ტრადიციამ ჩვენი მოსახლეობა ღვინისა და სხვა ალკოჰოლურ სასმელთა ზომიერად მოხმარებას მიაჩვია. ლოთობა და ალკოჰოლიზმი, მით უმეტეს, არასრულწლოვანთა შორის, საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე თითქმის უცნობი პრობლემა იყო. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ამჟამად ჩვენშიც საკმაოდ მწვავედ დგას. ამას ხელს უწყობს ზოგიერთი მავნე ტრადიციის არსებობაც, კერძოდ, უზომოდ გაზვიადებული და თავაშვებულ ღრეობად ქცეული ქორწილები, ქელეხები და სხვა. ღვინის ასეთ ფორმებში სმას თვალშეჩვეული მოზარდები ცდილობენ მიბაძონ უფროსებს, "ვაჟკაცობად" თვლიან ღვინის სმასა და ამგვარ ქეიფს და არცთუ იშვიათად ნასვამ მდგომარეობაში ჩადიან დანაშაულს.

ახალგაზრდების უმრავლესობა სვამს მეგობრების წრეში და ალკოჰოლი წარმოადგენს ურთიერთობის ნაწილს. მუსიკა, ცეკვა, სპორტი, დღესასწაულები ან უბრალოდ "საჭორაოდ" შეკრება – ღონისძიების ძირითადი მიზნებია, ხოლო ალკოჰოლი კი დამატებითი, მაგრამ არსებითი კომპონენტი. შეკრების ყოველი წევრი სვამს სუბიექტური მიზეზით და სხვადასხვა რაოდენობით. დათრობა ასეთ შეკრებებზე არა წინასწარგანსაზღვრული, მაგრამ არცთუ იშვიათი მოვლენაა.

როგორ ებრძვის სახელმწიფო ალკოჰოლიზმს

სახელმწიფოც ცდილობს ხელი შეუშალოს არასრულწლოვნებში ალკოჰოლიზმის გავრცელებას. ამისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არაერთი მუხლი შეიტანეს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დოკუმენტი №1:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 170 - არასრულწლოვნის დათრობა
მშობლების ან სხვა პირთა მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

ეს მუხლი ემსახურება იმას, რომ მშობლებმა არასრულწლოვნებს არ

უბიძგონ ალკოჰოლიზმისკენ. ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე ხშირია, როცა სუფრაზე მსხდომი მამაკაცები არასრულწლოვნებს სთავაზობენ დასალევს, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს შემდგომში არასრულწლოვნებში ალკოჰოლისადმი ლტოლვის ჩამოყალიბებას, ასევე საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. ამიტომაც სახელმწიფომ გაითვალისწინა ეს ფაქტორი და შესაბამისად დასჯადად გამოაცხადა ასეთი ქმედება.

დავალება:

წყვილში განიხილე მოცემული შემთხვევა. თქვენ თუ გსმენიათ ან გინახავთ მსგავსი შემთხვევა? რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

მუჯირმა თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა თავისი მეგობრები და ტრადიციული წესით აღნიშნა, რომლის დროსაც მან თავის 10 წლის ვაჟიშვილს, გიორგის, შესთავაზა დაელია მამის სადღეგრძელო. გიორგიმ დალია განსხვავებულით, რითაც მუჯირის ძმაკაცები აღტაცებულები დარჩნენ, ამით შეგულიანებულმა გიორგიმ კიდევ რამდენიმე ჭიქა დალია, რის შედეგადაც მას დაეწყო ალკოჰოლური ინტოქსიკაცია და გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

დოკუმენტი №2:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 171- საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმა ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა.

სპირტიანი სასმელების სმა ქუჩაში, სტადიონზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში - გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.

საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდების მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმა, - გამოიწვევს მშობლების ან მათი შემცვლელი პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

აღნიშნული მუხლი არსებობს იმისათვის, რომ არ მოხდეს ალკოჰოლიზმის ისე გავრცელება, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ყველა სვამდეს, ასევე იმისათვის, რომ, გამომდინარე არასრულწლოვანთა მიმბაძველი ბუნებიდან, მათ არ

გაუჩნდეთ სიმპათია იმ უფროსების მიმართ, რომლებიც ქუჩებში დადიან ლუდით ხელში და თავადაც არ ისურვონ მსგავსი ქმედებების ჩადენა. ამრიგად, სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან მოარიდოს სპირტიანი სასმელების მსმელები, რათა დაიცვას საზოგადოება და არასრულწლოვნები. ასევე, თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ასეთ ქმედებაზე კანონი სჯის მათ მშობლებს, რადგანაც მათ ვერ უზრუნველყვეს თავიანთი შვილის მორიდება ამ მავნე ქმედებისაგან.

დავალება:

წყვილში განიხილე მოცემული შემთხვევა. თქვენ თუ გსმენიათ ან გინახავთ მსგავსი შემთხვევა? რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

მე-7 კლასის მოსწავლეები, რომლებმაც გადაწყვიტეს სკოლის მერე ერთად წასულიყვნენ სადმე, წავიდნენ მუშტაიდის პარკში, სადაც კლასის ვაჟებმა დაინახეს, თუ როგორ სვამდა უნივესიტეტის რამდენიმე სტუდენტი ლუდს. მათაც იყიდეს ლუდი და იმისათვის, რომ კლასის გოგონებისათვის თავი მოეწონებინათ, დაიწყეს სმა და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს დალევდა. როცა დათვრნენ, მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც სამი ბიჭი და ერთი გოგონა, რომელიც ვაშველებას აპირებდა, დაზიანდნენ, ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სხვები კი – პოლიციის შენობაში.

ლექსიკონი

- **ნარკოტიკი** - არის ისეთი მცენარეული ან ხელოვნურად მიღებული ნივთიერება, რომლის მოხმარება ადამიანის ორგანიზმში ფიზიკურ, გონებრივ ან ორივე სახის ცვლილებებს იწვევს;
- **ნარკომანია** - დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ვლინდება ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი ან ძნელად დასაძლევი მოთხოვნილების სახით;
- **ნარკომანი** - ნარკომანიით დაავადებული ადამიანი, რომელსაც აქვს ნარკოტიკის დაუძლეველი მოთხოვნილება, აღენიშნება პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაცია (მოწამვლა) და იძულებულია გაზარდოს ნივთიერების დოზა ორგანიზმის დოზისადმი შეჩვევის გამო.

ნარკომანია

ნარკოტიკების მოხმარება სერიოზულ დარტყმას აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.

ფაქტები:

საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიციის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, ნარკოტიკების მოხმარება იწვევს თავის ტვინის დაზიანებას, რაც ვლინდება მეხსიერებისა და აზროვნების დაქვეითებაში, ემოციური აშლილობების განვითარებაში, ნებისყოფის დაქვეითებასა და არაკონტროლირებად ქცევაში;

ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის ხშირია გულსისხლძარღვთა, რეპროდუქციულ და იმუნურ სისტემათა, ღვიძლისა და სახსრების დაზიანება;

ნარკოტიკების ინექციური მოხმარება არის უკურნებელი ინფექციური დაავადებების – შიდსისა და ჰეპატიტების – გავრცელების მთავარი მიზეზი. საქართველოში აივ/შიდსით დაავადებულთა თითქმის ორი მესამედი ნარკოტიკების მომხმარებელია; ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ყოველი მეორე დაავადებულია C ჰეპატიტით.

როგორ ებრძვის სახელმწიფო ნარკომანიას

ნარკომანიის მთავარი სიმპტომი, რომელიც დაავადების უშუალო წინამორბედია და ყურადღების მიქცევას საჭიროებს, ქცევის ცვლილებაა. როგორც წესი, ამ დროს ადამიანი იცვლის მეგობრების ჩვეულ წრეს, ინტერესებს, ჩნდება ტყუილი, "საიდუმლო" ზარები, საქმეები, და ა.შ.

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურობამ განაპირობა ის, რომ სახელმწიფომ მიიღო არაერთი კანონი ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის არის კანონი „ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ," რომელიც არეგულირებს მთელ რიგ შეზღუდვებს ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ: მომხმარებელთა, ხელშემწყობთა და გამსაღებელთა.

დოკუმენტი:

საქართველოს კანონი "ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", მუხლი 3 - უფლებების ჩამორთმევა. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა:

ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

ბ) საექიმო საქმიანობის უფლება;

გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება;

დ) პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;

ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;

ვ) პასიური საარჩევნო უფლება;

ზ) იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

ნარკოტიკული დანაშაულის ხელშეწყობისათვის აღნიშნული უფლებები იზღუდება 5 წლით, ხოლო გამსაღებელს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ეზღუდება 5 წლით, ხოლო ყველა დანარჩენი _ 15 წლით.

აღნიშნული კანონის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისათვის, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობისათვის ან ნარკოტიკული საშუალების გამსაღებლისათვის უფლებების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

უფლებები პირს აღუდგება მას შემდეგ, რაც გავა ზემოთ მითითებული ვადა და, ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ უფლების აღსადგენად მომხმარებელმა უნდა წარადგინოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი აღარაა ნარკოტიკზე დამოკიდებული და მხოლოდ ამის შემდეგ აღუდგება მას უფლება.

ლექსიკონი

- **ნარკოტიკის მომხმარებელი** - ადამიანი, რომელიც არასამედიცინო დანიშნულებით ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებას, ვინაიდან აქვს მისდამი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება;

- **ნარკოტიკული დანაშაული** - პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ასევე ნარკოტიკული საშუალების წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება;

- **პასიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში მონაწილეობის უფლება)** - მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

თუ პირი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებებს, მაშინ მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დავალება:

ნახეთ ნაწყვეტები ფილმიდან "ეს ერთჯერადი ნივთები".

განიხილეთ ჯგუფში მოცემული შემთხვევა და მიუსადაგეთ თითოეულ პერსონაჟს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ კანონის დებულებები. ჯგუფში შეათანხმეთ და ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა, როგორ შეიძლება თავიდან აეცილებინათ ფილმის პერსონაჟებს დანაშაულში მონაწილეობა. გაამაგრეთ თქვენი ჰიპოთეზა არგუმენტებით. შემდეგი გაკვეთილისათვის შინ დაწერეთ თხზულება "10 ნაბიჯი ნარკომანიის თავიდან ასარიდებლად".

თამბაქო და ნიკოტინიზმი

მთელ მსოფლიოში მოწევა სიკვდილიანობისა და სხვადასხვა დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზია.

ფაქტები:

2009 წლის გაეროს უწყებანის მონაცემებით, თამბაქო სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია და 5 მილიონამდე ადამიანს კლავს ყოველწლიურად.

2007 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, ყოველ წელს მოწევისაგან გამოწვეული მიზეზებით 530 000 ადამიანი კვდება. ეს უფრო მეტია, ვიდრე ავტოკატასტროფებით, ნარკოტიკების გადაჭარბებული მიღებით, ალკოჰოლური ციროზით, მკვლელობებით და თვითმკვლელობებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები.

ლექსიკონი

- **ნიკოტინიზმი** - ნიკოტინით ქრონიკული ან მწავავე მოწამვლა;
- **ნიკოტინი** - შხამი, რომელსაც შეიცავს თაბაქო.

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის 2007 წლის მონაცემებით, მოწევა წელიწადში იწვევს 121 000 სიკვდილის შემთხვევას. მწეველები 13–14 წლით ადრე კვდებიან, ვიდრე

არამწეველები. მოწევისათვის თავის დანებებით ადამიანი რამდენიმე წელს უმატებს საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ამავე კვლევების თანახმად, ფილტვის კიბოთი დაავადების რისკი მწეველთა შორის 18-ჯერ მაღალია, ვიდრე არამწევლებში. 65 წლამდე ასაკის ადამიანებში გულის შეტევა 3-ჯერ მეტია, ვიდრე არამწევლებში.

იმ არამწევლებში, რომლებიც მწეველების გვერდზე ცხოვრობენ, ფილტვის კიბოს რისკი 26%-ით მაღალია, ვიდრე იმ არამწეველებში, რომლებიც მწეველებთა ერთად არ ცხოვრობენ. გულის შეტევების რისკი კი 23%-ით მაღალია.

მწეველები იწვევენ ხანძრის 33%-ს (ნაგავში გადაგდებული სიგარეტების და ა.შ. გამო).

სიგარეტი არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს, არამედ მისი და მისი ოჯახის ბიუჯეტსაც.

მოწევისას მწეველი საფრთხეში აგდებს სხვების ჯანმრთელობას.
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმო) და აშშ-ის დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით 1999-2005 წწ. წარმოებულ იქნა გლობალური კვლევა, რომელიც მოიცავდა 13-დან 15-წლამდე ბავშვებს 132 ქვეყნიდან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 43,9% მეორადად შეისუნთქავს თამბაქოს კვამლს სახლში, ხოლო 55,8% - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მხარდაჭერა მოწევის აკრძალვისათვის გლობალურია, რომელსაც ეთანხმება გამოკითხულთა 76,1%.

ამჟამად მთელ მსოფლიოში სულ უფრო უარესი შთაბეჭდილება იქმნება მწეველის დანახვისას. სიგარეტი მოწევა უარყოფითად მოქმედებს მწეველის იმიჯზე.

როგორ ებრძვის სახელმწიფო თამბაქოს.

გამომდინარე თამბაქოსათვის დამახასიათებელი მავნე შედეგებიდან და არასრულწლოვნებში თამბაქოს მომხმარებელთა რიცხვის ზრდიდან, სახელმწიფო აქტიურად ერთვება თამბაქოს რეალიზაციის და საზოგადოებისათვის მის მიწოდების საკითხებში, რათა რაც შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოს მისი მომხმარებლების რიცხვი და დაეხმაროს თამბაქოს მომხმარებლებს დაანებონ თავი ამ მავნე ჩვევას.

საქართველოს კანონი „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კრძალავს თამბაქოს მოხმარებას:

- სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო

დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში;
- სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობებში;
- ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების მთელ ტერიტორიაზე;
- ყველა შენობა-დაწესებულებაში, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები;
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში.

აღნიშნული კანონის თანახმად, თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია აკრძალულია:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება - ორგანიზაციებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის დაშორებით;
- ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში;
- იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებშიც ხდება ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია;
- სიგარეტის ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით) თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია;
- 18 წლამდე ასაკის პირებზე.

კანონის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

დოკუმენტი №1:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 155³ - თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია (ჯარიმა 100 ლარი).

2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათ კუთვნილ ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში (ჯარიმა 50 ლარი).

3. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე (ჯარიმა 100 ლარი).

4. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში

სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია (ჯარიმა 10 ლარი).

ეს მუხლი მთლიანად ითვალისწინებს არასრულწლოვანთა და მცირეწლოვანთა დაცვას იმ მავნე ჩვევისაგან, რასაც მწეველობა ჰქვია. სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად მოარიდოს არასრულწლოვნებს თამბაქო, რათა მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ გახდეს. სწორედ ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებს ადვილად შეუძლიათ თამბაქოს ყიდვა, იწვევს მათში მწეველთა რაოდენობის ზრდას. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ თამბაქოს მოწევა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ალკოჰოლიზმთან, რადგანაც სწორედ ნასვამ და მთვრალ მდგომარეობაში ეწევა არასრულწლოვანთა უმეტესობა, რაც შემდეგ ჩვევაშიც გადადის.

დავალება:

განიხილე მოცემული შემთხვევა კანონის აქ მოყვანილი დებულებების კუთხით. მოიფიქრე, რა საქმიანობას ურჩევდი ქალბატონ ინგას საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის. დაასაბუთე შენი მოსაზრება.

ქალბატონი ინგა უმუშევარი იყო და ვადაწყვიტა, ოჯახი ვარე ვაჭრობით ერჩინა. ამისათვის მან დაიწყო მზესუმზირისა და სიგარეტის გაყიდვა. მან კარგად იცოდა, რომ საუკეთესო ადგილი ამისათვის მისი სახლის გვერდზე არსებული სკოლის ეზო იყო. მან დაიწყო სიგარეტის ღერებით ვაჭრობა. მისი ძირითადი მყიდველები მე-8 – მე-11 კლასელი ბავშვები იყვნენ.

დოკუმენტი №2:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 155[5].

თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილებისაგან და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის კონსულტაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონის განთავსებისაგან თავის არიდება (ჯარიმა 100 ლარი).

ეს მუხლი არეგულირებს იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება თამბაქოს მომხმარებელთა ინფორმირებას თამბაქოს მავნე მახასიათებლებში. სახელმწიფო ავალდებულებს თამბაქოს რეალიზატორებს, რომ განათავსონ რეალიზაციის ადგილებში გაფრთხილებები, კერძოდ ის, რომ თამბაქო იწვევს ფილტვების კიბოს, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გულზე, უარყოფითად მოქმედებს ნაყოფსა და შთამომავლობაზე და ა.შ. ასევე, სახელმწიფო ავალდებულებს რეალიზატორებს, რომ მათ განათავსონ თამბაქოს მოხმარებისათვის თავის დანებების მსურველთათვის საკონსულტაციო სამსახურის ტელეფონის ნომერი. ამით ცდილობს, რომ შეამციროს მწეველთა რაოდენობა და მწეველებს დაეხმაროს თავი დაანებონ ამ სახიფათო ჩვევას.

აზარტული თამაშოგეგი

ანუ თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა;

მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით;

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება;

სათამაშო დარბაზი – სამორინეში თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია მოთამაშეთა უსაფრთხოება და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და რომელიც აკმაყოფილებს სანიტარიულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს; აგრეთვე მოწყობილია სპეციალური საკასო ოთახი;

სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით;

სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალური სათამაშო ადგილი, სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები;

ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი.

მომგებიანი თამაშობებია:

ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილე ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შე-

ნობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის ან/და თამაშობის შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე. ტოტალიზატორი იმართება მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ შენობაში;

წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომელიც ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით და წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. წამახალისებელი გათამაშების ნებართვა გაიცემა კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებელ იურიდიულ (ფიზიკურ) პირზე ან მის წარმომადგენელზე. დაუშვებელია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისათვის ნებისმიერი ფორმით საფასურის დაწესება;

21 წლამდე ასაკის პირისათვის სამორინეში თამაში, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის სათამაშო აპარატებთან თამაში ან/და სხვა მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა აკრძალულია. აზარტული თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით მოთამაშეთა ასაკის შემოწმება; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, აზარტული თამაშობების კანონდამრღვევი ორგანიზატორი დაჯარიმდება 1000 ლარით.

დავალება:

გაიხსენე, ჩამოთვლილი თამაშობებიდან რომელია ყველაზე პოპულარული შენს თანატოლებს შორის. მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბე ის მიზეზები, რის გამოც არის ესა თუ ის თამაშობა პოპულარული. მოიფიქრე ის ალტერნატივები, რომლებიც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებდა მოზარდების სურვილს, რომ ითამაშონ და, მეორე მხრივ, თავიდან აარიდებდა მათ კანონის დარღვევას.

ცივი იარაღი

არასრულწლოვნების მიერ ცივი იარაღის ტარება საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის მათ. უმეტეს შემთხვევაში არასრულწლოვანი გაუაზრებლად იყენებს მას, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვება. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების დაცვა ამ მავნე ჩვევისაგან და ასეთი შედეგების თავიდან აცილება. არასრულწლოვნის მიერ ცივი იარაღის გამოყენების შემთხვევაში დაზარალებულია ორივე მხარე და გამარჯვებული არავინაა. ცივი იარაღის ადვილად ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა, რომ არასრულწლოვნებს ჰქონდეთ ის, ამიტომაც საზოგადოებისთვის ეს მავნე ჩვევა სერიოზულ პრობლემად იქცა. საჭირო გახდა რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან.

სისხლის სამართლის კოდექსით ცივი იარაღის ტარება დასჯადად გამოცხადდა.

დოკუმენტი:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 238[1]. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, – ისჯება ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იმას, თუ რა არის ცივი იარაღი, ადგენს ექსპერტი, მაგრამ არის გარკვეული საგნები, რომლებიც ყველა შემთხვევაში ითვლება ცივ იარაღად. ესენია: დანა, ნაჯახი. როგორც ვხედავთ, ცივი იარაღის ტარებაზე ისჯება არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ სრულწლოვანიც 21 წლამდე. ეს კი მიანიშნებს იმ საშიშროებაზე,რასაც ცივი იარაღის ტარება წარმოადგენს საზოგადოებისთვის. რაც შეეხება ნასამართლევ პირსა და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირებს, მნიშვნელობა არა აქვს მათ ასაკს. ისინი შეიძლება 40 წლისებიც იყვნენ, მაგრამ ცივი იარაღის ტარების უფლება არ აქვთ, სანამ ნასამართლეობა არ გაუვათ ან ადმინისტრაციული სახდელი არ გაუქარწყლდებათ. სახელმწიფო ამ მუხლის შემოღებით ცდილობს დაიცვას საზოგადოება ცივი იარაღისაგან, რადგანაც სტატისტიკურად გაცილებით მეტი დანაშაული, მათ შორის მკვლელობა, ხდება სწორედ ცივი იარაღით. ვითომდა ისეთმა უწყინარმა ქმედებამ, როგორიცაა დანის ტარება, ძალიან ბევრი არასრულწლოვნის სიცოცხლეს დაასვა დაღი, რომ არაფერი ვთქვათ სიცოცხლის მოსპობაზე.

დავალება:

ჯგუფში მსჯელობის შედეგად განსაზღვრეთ, სამართლიანია თუ არა ცივი ირაღის ტარების კანონით დადგენილი შეზღუდვები. ჩამოთვალეთ ყველა ის საფრთხე, რომლებიც დაკავშირებულია ცივი იარაღის ტარებასთან. მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება თქვენს სკოლაში ცივი იარაღის ტარების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაული, თავისი მასშტაბებით და დამანგრეველი ზემოქმედებით, რეალურ საფრთხედ იქცა კაცობრიობისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. რა თქმა უნდა, ორგანიზებული დანაშაული არც საქართველოსთვისაა უცნობი და ჩვენს ქვეყანაში ათეულობით წელიწადის განმავლობაში არსებობდა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმა, რომელსაც „ქურდულ სამყაროს" უწოდებენ. მაგრამ სანამ უშუალოდ ქურდულ სამყაროს განვიხილავთ, საჭიროა ზოგადად გავეცნოთ ორგანიზებულ დანაშაულს, მის ნიშნებს, სახეებსა და იმ საშიშროებას, რასაც ამ სახის დანაშაულები იწვევს.

პირველ რიგში გასარკვევია, თუ რას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაული? იგი შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

ორგანიზებული დანაშაული არის დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი პირის ან პირთა სტრუქტურირებული ჯგუფის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დანაშაულების ჩადენას შეშინების, ძალადობის, კორუფციის ან სხვა ხერხებით, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების მისაღებად.

ორგანიზებული დანაშაული ძირითადად ხორციელდება კრიმინალური დაჯგუფებების მიერ, რომლებსაც დანაშაულის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობენ კრიმინალური ავტორიტეტები ან კანონიერი ქურდები.

მართებულია მოსაზრება, რომ „ორგანიზებული დანაშაულის სისტემაში ჩართულია მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც შესაძლებლობას იძლევა, განვსაზღვროთ იგი როგორც ალტერნატიული საზოგადოება, ან როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში თავისი ეკონომიკით, სოციალური და სულიერი სფეროებით, მართვის თავისი სისტემებით – უშიშროების, სასამართლო, საუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკით, ახალგაზრდა თაობის ფორმირებაზე ზრუნვით. სახელმწიფოში ალტერნატიული სტრუქტურების არსებობა ასუსტებს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ზღუდავს მისი საქმიანობის ფარგლებს და, ფაქტობრივად, ენაცვლება მას". ორგანიზებული დანაშაული, ფაქტობრივად, ძირს უთხრის სახელმწიფოს, საზოგადოებას, მაქსიმალურად ცდილობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართოს არასრულწლოვნები, რათა გაზარდოს თავისი რიგები და კიდევ უფრო გაახანგრძლივოს თავისი არსებობა.

ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ორგანიზებული დანაშაული და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული.

ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ჯგუფურ დანაშაულს, მაგრამ ორგანიზებულ ჯგუფებში, ორგანიზებული დანაშაულის გარდა, შედის, ასევე, ისეთი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც არ გამოირჩევიან სიმყარით, იერარქიულობით ან თუნდაც საქმიანობის ხანგრძლივობით.

ამერიკის ისტორიაში არსებული დანაშაულებრივი ჯგუფების მაგალითზე განვიხილოთ განსხვავება ორგანიზებულ დანაშაულსა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის. მაგალითად, ბანკების ცნობილი მძარცველის ჯესი ჯეიმსის დანაშაულებრივი დაჯგუფება და ალ კაპონეს კრიმინალური **სინდიკატი**. ალ კაპონე შეიძლება ადიარებულ იქნეს „ორგანიზებულ დანაშაულებრივ მოღვაწედ", ხოლო ჯესი ჯეიმსს ამგვარ ტიტულს ვერ მივანიჭებთ. როდესაც 1882 წელს ჯესი ჯეიმსი მოკლეს, ეს მისი ბანდის დაშლას ნიშნავდა, ხოლო როცა ალ კაპონე ციხეში ჩასვეს, მის „ორგანიზაციას" არ შეუწყვეტია არსებობა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჯესი ჯეიმსის ბანდა ეს იყო კლასიკური ვარიანტი ორგანიზებული ჯგუფისა, რომელიც ორგანიზებული დანაშაულისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წევრებზე და რომელიც გარკვეული დროითაა შექმნილი.

წარმოადგენს რა ორგანიზებული დანაშაულის ნაირსახეობას, „ქურდული სამყაროც" არაა დამოკიდებული იმაზე, დაიჭერენ თუ არა რომელიმე „კანონიერ ქურდს" და გავა თუ არა რომელიმე წევრი "ორგანიზაციიდან". ამრიგად, ჩანს, რომ ორგანიზებული დანაშაული, მართალია, არის ჯგუფური დანაშაული, მაგრამ გაცილებით უფრო რთული დასამარცხებელია, რადგანაც მას ძირითად დასაყრდენად აღებული ჰყავს საზოგადოება. იგი სარგებლობს არასრულწლოვნების მერყევი ფსიქიკით, რომლებიც აღნიშნულში ხედავენ „რომანტიკულ," საინტერესო და მიმზიდველ ცხოვრებას და ადვილად ექცევიან ორგანიზებული დანაშაულის გავლენის ქვეშ.

ამიტომაც საინტერესოა, თუ რა ნიშნები აქვს ორგანიზებულ დანაშაულს. ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს XX საუკუნის დანაშაულთა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სახეობას, რომელიც ყველა სფეროს აზიანებს და საზოგადოებას ხრწნის.

ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები პირობითად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

1) არაიდეოლოგიზირებულობა – გულისხმობს, რომ არ გააჩნია პოლიტიკური შეხედულებები ან პოლიტიკური იდეოლოგია. მათი მთავარი მიზანი არის – ფული და ძალაუფლება;

ლექსიკონი

- **სინდიკატი – ეკონომიკური ან საზოგადოებრივი სარგებლის მიღების მიზნით ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება.**

2) იერარქიის ქონა – იგულისხმება, რომ ყველა ორგანიზებულ დანაშაულს აქვს იერარქია ანუ ვერტიკალური დაქვემდებარება, მაგალითად,

მაფიაში არსებული დაქვემდებარება: ოჯახის „დონი", შემდეგ მისი მრჩეველი, შემდეგ ე.წ. „კაპო," შემდეგ ე.წ. „ჯარისკაცები." ანალოგიურადაა „ქურდულ სამყაროშიც";

3) წევრობის შეზღუდულობა – ჯგუფში წევრების მიღებას გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით ეთნიკური წარმომავლობა, ნათესაობა, კრიმინალური წარსული და ა.შ, თუმცა ამ ნიშნების ქონის შემთხვევაშიც კი ჯგუფში შესასვლელად დიდი გზაა გასავლელი;

4) თვითაღდგენადობა – ჯგუფი იქმნება ხანგრძლივი პერიოდით და იგი თავის არსებობას განაგრძობს ჯგუფის დამაარსებლების გარდაცვალების შემდეგაც, ანუ ხდება ჯგუფის მუდმივი გადახალისება და ამით ჯგუფი აგრძელებს არსებობას;

5) ძალადობისა და მოსყიდვის გამოყენებისათვის მზადყოფნა – ორგანიზებული დანაშაულისათვის ძალადობა წარმოადგენს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მარტივად მისაღწევ და მიღებულ საშუალებას. სწორედ ძალადობისა და მოსყიდვის საშუალებით ცდილობს ორგანიზებული დანაშაული მიაღწიოს თავის ამოცანებს. მისი მთავარი საქმიანობა სწორედ ძალადობაზეა დაფუძნებული;

6) გამოირჩევა სპეციალიზაციით/შრომის დანაწილებით – არსებობს რამდენიმე ფუნქციონალური პოზიცია, რომლებიც უჭირავთ კომპეტენტურ პირებს. დანაწილება დამოკიდებულია სპეციალიზაციაზე, საქმიანობის ხასიათსა და იერარქიაზე. მაგალითად: სეიფის გაღების სპეციალისტები („მედვეჟატნიკები"), „კილერები," სახლის გაქურდვის სპეციალისტები („დამუშნიკები") და ა.შ.;

7) მონოპოლიურობა – არ უშვებს კონკურენციას, მას სურს მოიპოვოს ჰეგემონია კონკრეტულ გეოგრაფიულ რაიონზე, რომელშიც იგი არსებობს, ან რომელიმე კონკრეტული სახის საქმიანობაზე (მაგ.: პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ტვირთების გადაზიდვა და ა.შ.). მონოპოლია ზღუდავს ბაზრის თავისუფლებას და ზრდის მოგებას. მონოპოლიის შენარჩუნება კი ხორციელდება ძალადობითა და ძალადობის მუქარით;

8) იმართება დადგენილი წესებით – ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებსაც აქვთ წესები და დადგენილებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა წევრისათვის, რომელთაც მათი დარღვევა შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდეთ.

დავალება:

გაეცანი ორგანიზებული დანაშაულის ძირითად ნიშნებს და ჩამოაყალიბე სამი არგუმენტი, თუ რატომ არის დანაშაულის ეს სახე განსკუთრებით საშიში მთელი ქვეყნისათვის.

ორგანიზებული დანაშაულის ძირითად სახეებს წარმოადგენს:



„ქურდული სამყარო"

საქართველოში, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, არსებობდა და დღესაც არსებობს ორგანიზებული დანაშაულის სახეობა, კერძოდ, „ქურდული სამყარო." აღნიშნულმა ფენომენმა საკმაოდ მყარად გაიდგა ფესვები საზოგადოებაში. მის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კავშირის პერიოდშივე დაიწყო, თუმცა ამ მანკიერების დამარცხება მაინც ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომაა, რომ თანამედროვე საქართველოში საკმაოდ მწვავედ დაისვა „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ აქტიური და უშეღავათო ბრძოლის საკითხი.

„კანონიერი ქურდების" ინსტიტუტი საბჭოთა ციხეებში მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ „ქურდული სამყარო" თავად სახელმწიფომ შექმნა იმისათვის, რათა პატიმრებით გავსებული ციხეები გაეკონტროლებინა და სიტუაცია დაერეგულირებინა, რადგან იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ამ პერიოდის საბჭოთა კავშირის ციხეებსა თუ გადასახლებებში იმყოფებოდა, აშკარად შეუსაბამო იყო იმ ჯარისკაცებისა თუ პოლიციელების რაოდენობასთან, რომლებიც მათ იცავდნენ. ამიტომაც ციხის უფროსობამ დაიწყო თანამშრომლობა ციხეში მყოფ კრიმინალებთან და მისცა მათ მთელი რიგი შეღავათები, რომლებსაც აღნიშნული კრიმინალები თავიანთი ავტორიტეტის ასამაღლებლად და გასამტკიცებლად იყენებდნენ. მათ შექმნეს „ქურდული კოდექსი", რომლის მეშვეობითაც მათთვის შესაძლებელი გახდა ციხეში მყოფი პატიმრების კონტროლი. ხოლო ციხის ადმინისტრაცია ამ ყოველივეზე თვალს ხუჭავდა და ეხმარებოდა კიდევაც „კანონიერ ქურდებს," რათა ციხეში წესრიგი ყოფილიყო.

„ქურდულმა სამყარომ", მოახერხა რა ციხის გარეთ გამოსვლა, აქტიური მოქმედებები განახორციელა იმისათვის, რომ საზოგადოებაში დაემკვიდრებინა თავისი ადგილი. ამისათვის კი გამოიყენა საზოგადოების სუსტი წერტილი: სიძულვილი ავტორიტარული ხელისუფლებისა და სასტიკი კანონებისადმი და სიმპათია მორალური და ზნეობრივი ნორმების მიმართ.

„ქურდული სამყაროს კანონები" ეს პირობითი შირმაა, რომელიც „ქურდულ სამყაროს" თითქოს საზოგადოებაში ამართლებს. სინამდვილეში კი იგი მუდმივად იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სჭირდებათ „კანონიერ ქურდებს," მათ

დაუშვეს ოჯახის ყოლა, კერძო საკუთრების ქონა, ნარკოტიკებით მოვაჭრეების წილში ჩაჯდომა, ნარკოტიკების მოხმარება. ფაქტობრივად, ისინი ყოველთვის ცვლიან თავიანთ „კანონებს" იმის მიხედვით, რითაც შეიძლება უფრო მეტი მოგების ნახვა.

„ქურდული სამყაროს" უარყოფითი მხარეები ყოველთვის დამალული იყო იმ თითქოსდა „კარგ ქმედებებში," რომლებსაც „კანონიერი ქურდები" ჩადიოდნენ. სინამდვილეში კი ყოველი მათი ქმედება დანაშაულს წარმოადგენს, რათა მიიღონ სარგებელი და ეს თითქოს სამართლიანობის ჩარჩოში აქვთ მოქცეული, სინამდვილეში კი, უბრალო ადამიანს (მძღოლებს, გამყიდველებს, გლეხებს და ა.შ.), ართმევდნენ ოჯახში მისატან ფულს და ამას „ქურდული კანონებით" ამართლებდნენ.

„კანონიერმა ქურდებმა" თავადაც კარგად იციან მათი ქმედებების დანაშაულებრიობის შესახებ და ყოველთვის ცდილობენ, აარიდონ „ქურდულ სამყაროს" თავიანთი ოჯახის წევრები და ნათესავები, თუმცა, მზად არიან ჩაითრიონ თავიანთ საქმიანობაში ახალგაზრდები, რომლებზეც ხელი მიუწვდებათ, მაშინ, როცა სასტიკად უშლიან თავიანთ შვილებს, იმავე გზას დაადგეს.

ამიტომაც „ქურდული სამყაროს" დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამას საზოგადოება შეგნებულად მოინდომებს და განსაკუთრებით, თუ ახალგაზრდები ჩაერთვებიან ამ პროცესში და გაიაზრებენ, რომ, "ქურდული სამყარო" დადებითი მოვლენა კი არაა, არამედ მორალური და ზნეობრივი ნორმებით შენიღბული დანაშაულებრივი სინდიკატია, რომელიც თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით ყველაფერს აზიანებს და ანადგურებს და არაფერი არ მოაქვს დადებითი. სულ არაა საჭირო, იყო „კანონიერი ქურდი" იმისათვის, რომ ვაჟკაცად და კარგ კაცად მიგიჩნიონ და ასეთ შემთხვევაში უფრო მეტად მაღალი ზნეობისა და მორალის ადამიანი იქნები, ვიდრე ნებისმიერი „კანონიერი ქურდი."

დავალება:

ჯგუფში მუშაობისას განიხილეთ "ქურდული სამყაროს" სტრუქტურა და მოქმედება ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ნიშნების მიხედვით. შესაბამისობები განსაზღვრეთ ცხრილის სახით. შემდეგ დაასახელეთ თქვენთვის მისაბაძი მაღალზნეობრივი ადამიანის 10 ძირითადი თვისება. თითოეულ თვისებასთან მიმართებით განიხილეთ "კანონიერი ქურდის" პორტრეტი და არგუმენტირებულად განსაზღვრეთ, რამდენად შეესაბამება იგი მისაბაძ ადამიანს?